

რას წერს პატარა კახი ამ ავდრიან საღამოს?

მოგესალმები ძვირფასო მკითხველო. პირველ რიგში მინდა მოგილოცო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მეფის - ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლის იუბილე, მინდა მომავალშიც საქართველოს მრავალი ერეკლესნაირი ბრძენი მმართველი ჰყავდეს. მსოფლიო ისტორიაში არაერთი სახელმწიფო მოღვაწე მოიძებნება, რომელმაც თავისი გმირული და თავდადებული მოღვაწეობით სამშობლოს წინსვლაში დიდი წვლილი შეიტანა. ასეთ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება ერეკლე II-ც. ვიდრე მის შეფასებას შევუდგები აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მას ისეთ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, როდესაც ლეკთა გამუდმებული თარეში დიდ განსაცდელს უქმნიდა საქართველოს მყუდროებას. გათავაზობთ, ერეკლე II-ის პორტრეტის ჩემ მიერ დანახულ შტრიხს, რომელიც გიორგი გეგელისშვილის დახსნის შესახებ გაცემული ბრძანების მიხედვით შევადგინე.

შემოდგომის ცივი და დაღვრემილი საღამო იდგა. ირგვლივ ნისლის სქელი ფენა ავისმომასწავებლად ჩამოწოლილიყო, რომელიც ისე მკვრივი იყო, რომ გეგონებოდა ხელით შეეხებოდი. სასახლის ერთ-ერთი სარკმლიდან სანთლის შუქი გამოდიოდა და ლიცლიცით იღვრებოდა ნისლის მუქ ფარდაში. სწორედ, ამ სარკმლის მიღმა ჩაფიქრებული იჯდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II, წინ გაშლილი გრაგნილი და სამელნე ედო და ფიქრებით შორს წასულიყო. გაინტერესებთ რას წერს პატარა კახი ამ ავდრიან საღამოს? - ახლავე მოგიყვებით.

მას ცოტა ხნის წინ აცნობეს, რომ ქართველებთან დამეგობრებული ლეკი, რომელმაც ლეკებისაგან დატყვევებული გიორგი გეგელისშვილი იხსნა - გამოსასყიდს ითხოვდა. მიუხედავად მეფე თეიმურაზის დავალებისა დიდმელებს (თეიმურაზის სიცოცხლეში) ტყვე არ გამოუსყიდათ. გიორგი კი „სხვას დაუხსნია მადლისთვის“. ამიტომ ერეკლე წერილს წერს დიდმელებს, რომლითაც შეატყობინებს, რომ გეგელისშვილი ამიერიდან მისი შვილის ლევანის „ხელდებულია“, დიდმელებს კი არანაირი უფლება აღარ აქვთ გიორგი გეგელისშვილზე.

ერთი კაცის საქმეში მეფის ასეთი ჩართულობა მის დიდ პასუხისმგებლობაზე და სამართლიანობაზე მიუთითებს. ქვეყანაში თითოეული ადამიანის ბედი და სიცოცხლე მისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მოსახლეობას ის იმიდენად უყვარდა, რომ ლექსებსაც კი უძღვნიდნენ. თუმცა გიორგი გეგელისშვილის დახმარება მხოლოდ ერთი კაცის გადარჩენა როდი იყო. ეს საქართველოს გადარჩენის გამოძახილი იყო, ეს ქვეყნის ღირსების დაცვაც იყო.

საგონებელში ჩავარდნილი მეფე წუხს, რომ ვერ შეძლო ლეკთა თარეშისთვის საბოლოოდ მოელო ბოლო. რატომ ჩათვალა ღმერთმა საჭიროდ ქართველთათვის სასჯელი ლეკთა სახით მოევლინა? ან რაღა დამეგობრებაა, თუ გამოსასყიდს ითხოვენ? აშკარაა, რომ ქართველებთან პირისპირ შეხვედრის შემთხვევაში მათ სიკვდილი, ან შერცხვენილად უკან დახევა ელოდათ, ამიტომაც მოდიან ქურდულად, მოპარვითა და ჩასაფრებით. ქართველთა მოტაცებით საზრდოობენ. თითქოს მათი ცხოვრების წესი და არსებობის მთავარი საშუალება გამხდარა ქართული მიწის შვილებით ვაჭრობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ერეკლე არა მარტო კარგი მხედართმთავარი და მეომარი, არამედ სამართლიანი მსაჯულია. სტრატეგიულად სწორი გადაწყვეტილებების მიღება მის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. იგი კიდევ მრავალ წერილსა, თუ ბრანებას დაწერს საქართველოს უკეთესი მომავლისათვის.

მარიამ მამუკაშვილი, 15 წლის;

ქალაქი: ახალციხე; სკოლა: შ.პ.ს. „ხერხეში“ დამოუკიდებელი სკოლა „მზექა“, XI კლასი.